პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 მაისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 105 (9772) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ელვა-ინფორმაცია

გრძელდება ჰაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მრავალდღიანი ველორბოლა. ოთხი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ველოსიპედისტები ლიდერობენ. პირად ჩათვლაშიც არაფერი შეცვლილა. წინ არის უკრაინის (ხარკოვის) გუნდის წარმომადგენელი ვიქტორ სოლოვიოვი. საქართველოს ნაკრების წევრი ვახილი დავითენკო მას მცირედით ჩამორჩება და მეორე ადგილს ინარჩუნებს.

დღეს ველოსიპედისტები ისვენებენ, ხვალ კი მორიგი, მეხუთე ეტაპი გაიმართება (წრიული რბოლა თბილისის ზღვის ირგვლივ). წინა ეტაპების დაწვრილებით ანგარიშს „ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

## ფესტივალის ჩემპიონები

**სტუდენტ** კალათბურთელთა საერთაშორისო ფესტივალის პირველი ეტაპის შემდეგ გამოვლინდნენ ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებულნი, რომლებსაც ბრძოლა უნდა გაეგრძელებინათ საპრიზო ადგილებისთვის. ეს უფლება მოიპოვეს თბილისისა და კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტების, აგრეთვე, საქართველოსა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კალათბურთელებმა.

მერე გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. კაუნასელმა სპორტსმენებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები — 105:102 (46:41), თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტმა კი ქუთაისის გუნდი — 94:76 (47:38).

ფინალურ მატჩში, რომელიც უაღრესად მძაფრი და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, საქართველოსა და კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივები შეხვდნენ. ტაიმი სტუმრებმა სამი ქულით მოიგეს, შესვენების შემდეგ კი უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო, რომლებმაც კიდეც გაიმარჯვეს ანგარიშით — 98:95. მატჩის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ თბილისელთაგან ლიპარტელიანი (29 ქულა) და ფერიაშვილი (23), კაუნასელთა შორის პეტრონისი (25) და სტუდვილასი (20).

შეჯიბრებაში III ადგილი ქუთაისელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები დაამარცხეს — 98:89 (53:44).



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდი.

ყოველ სამშაბათს...

## რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

23-29 მაისი

იმის შესახებ თუ რა იყო მკითხველთა ყურადღების ცენტრში განვლილი კვირის განმავლობაში

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი დიდ დაინტერესებას იჩენს ჩვენი საზოგადოებრიობა. სასიხარულო ამბები ემატებათ და გულისტკივილსაც დაუფარავად გვიზიარებენ. თითქმის არც ერთი მოვლენა არ რჩება მკითხველთა რეაგირების გარეშე. „ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ოლიმპიური თამაშები, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება სეულში. რამდენადაც ვიცით, წელს ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებსაც მედლის მოპოვების რეალური შანსები ექნებათ. ასეთ პირობებში, ცხადია, გაიზრდება კონკურენცია ქვეყნის ნაკრებ გუნდში თითოეულ ადგილზე. ვინ იქნება ჩვენგან ოლიმპიელი? დროდადრო თუ მოგვითხრობთ მათ შესახებ კარგს იზამთ" — გვწერს გორიდან ვ. ტარუაშვილი.

ჩვენმა ძიუდოისტებმა განვლილ კვირაშიც გაახარეს გულშემატკივრები. ამჯერად წარმატება მოიპოვეს ბაკურ თვალაძემ, დავით ხახალეიშვილმა და ვალერი პარუნაშვილმა. ამ სპორტსმენებს ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებას ულოცავენ მ. ბიწაძე, გ. მაღრაძე — ორჯონიკიძის რაიონიდან, თბილისელები ლ. ცხადაძე, გ. მრუაშვილი, ე. ბარბაქაძე... ე. მაზიაშვილი — საგარეჯოდან, ნ. მარტაშვილი — ახმეტიდან.

ავტოსპორტის მოყვარულებს სიხარული არგუნეს საქართველოს რალისტებმა, რომლებმაც ხუთი საპრიზო ადგილი და გუნდური პირველობა მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ ასპარეზობაში.

როგორც ცნობილია, უკვე დაიწყო წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი დიდი კომპლექსური ღონისძიება — ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშები. დაიწყო იგი ველოსიპედისტთა შეჯიბრებით. ამ ასპარეზობას მასპინძლობს ჩვენი რესპუბლიკა. „ლელოს" მკითხველებს ახარებთ ის, რომ საქართველოს ნაკრები პირველი ეტაპიდანვე ლიდერია.

გასულ კვირაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების ფინალურმა ასპარეზობამ ქართულ ჭიდაობაში. ეს იყო ნამდვილი სპორტული დღესასწაული, რომელიც თბილისში გაიმართა ბავშვთა კალათბურთის სასახლეში.

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან კვლავ და კვლავ მოდის **ბულისწყრომის წერილები** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მისამართით. აღშფოთება სამართლიანია, სულ მალე „ლელოს" ფურცლებზე ვრცლად მიმოვიხილავთ ამ წერილებს და მათ ავტორებსაც გაგაცნობთ.

„არ იქნა და ვერ მოხერხდა შაბათს და კვირას თბილისში მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება. კვლავ ცარიელია სპორტული ბაზები, ჯერ არც ტურისტული ბილიკები გამოცოცხლებულა, დაგვიძახეთ, მიგვიპატიჟეთ, გაგვიძეხით..." — გვწერენ თბილისელები გ. მოდებაძე, ნ. ხხილაძე, ი. ბეროშვილი, მ. მენაბდე და სხვები. სამართლიანი შენიშვნაა. თბილისელები შაბათს და კვირას სიხარულით უნდა მოელოდნენ, მაგ კი... „ლელო" ამ საკითხსაც ცალკე დაუბრუნდება.





ახეთი და კიდევ უფრო ლამაზი ილეთი ბევრი იხილა მაყურებელმა ქართულ ჭიდაობაში ქალაქების უბნებისა და სოფლების გუნდების შეჯიბრებაზე, რომელიც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ტარდება. მოჭიდავეთა ყველა შერკინებას ცეცხლს მატებდა, ფალავნებს ამხნევებდა ამ სამი მუსიკოსის საჭიდაო ბანგი (მარცხნიდან: გეორგ თეიმურაზიანი, დავით გოცირიძე და ოვაგინ ბადალიანი). ამ გრძელვადიანი ტურნირის გადამწყვეტი, ფინალური შეხვედრა გუშინ გაიმართა თბილისის კიროვის სახელობის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში. (ი. მე-2 გვ.)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



ეს მედალი ხვდა წილად ჩვენს ფილმს „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს" სპორტული ფილმების ტრადიციულ საკავშირო ფესტივალზე, რომელიც ამჟამად აშხაბადში გაიმართა (იხ. მე-4 გვ.)

სსრ კავშირის თასი ძიუდოში

## ამჯერად მესამე ადგილზე

**ტიუმენი.** საფეხბურთო-მძლეოსნურ მანეჟ „გეოლოგში" დამთავრდა ძიუდოისტთა საკავშირო თასის გათამაშება. ტურნირის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა გახლდათ საქართველოს მოჭიდავეთა მარცხი მოსკოვის გუნდთან, რომელიც გავიდა ფინალში რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებთან ერთად.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გამარჯვება რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოიპოვეს და საპატიო პრიზიც მათ დაისაკუთრეს. მომდევნო ადგილებზე მოსკოვისა და საქართველოს ძიუდოისტები გავიდნენ.

### ინფორმაცია

**რომი.** გამოვლინდნენ კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მონაწილენი (ასპარეზობა 1989 წელს ვარნაში ჩატარდება). „ა" ჯგუფში მოხვდნენ: სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, იტალია, ჰოლანდია. „ბ" ჯგუფში ითამაშებენ: იუგოსლავია, უნგრეთი, საფრანგეთი და ბულგარეთი.

| N | სპორტის სახეობები / უმაღლესი სასწავლებლები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | III | 7-9 | III | III | III | 5-8 | III | II | II | 7 | 6 | I | – | – | II | 4 | 4 | – | III | 4 | I | III | II | III | – | II | 4 |
| 2 | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი | II | 4-6 | II | II | II | III | II | III | III | 4 | I | III | II | III | III | II | II | I | II | II | III | 4 | I | I | I | I | I |
| 3 | ფიზკულტურის ინსტიტუტი | I | 10-11 | I | I | I | I | I | I | I | I | – | II | I | I | I | I | I | II | I | – | II | II | III | II | – | 4 | – |
| 4 | სამედიცინო ინსტიტუტი | 6 | – | 5-8 | – | 7 | 5-8 | – | – | – | – | II | 4 | – | – | – | – | – | – | – | 7 | 4 | 9 | 7-9 | 4 | – | – | III |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი | 8 | – | 5-8 | 4 | 4 | 5-8 | – | – | – | III | 9 | 11 | – | – | – | – | – | – | – | – | 7 | 11 | 4-6 | – | – | – | – |
| 6 | თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი | 9 | I | – | – | – | – | – | 5 | 4 | 12 | – | 9 | III | – | – | – | 5 | III | 4 | I | – | – | – | 5 | – | – | – |
| 7 | ზოოვეტერინარული ინსტიტუტი | – | II | 4 | – | 9 | 13 | 5 | – | – | 6 | 13 | – | – | – | 9 | – | – | – | – | – | – | I | – | – | – | – | – |
| 8 | აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | – | 4-6 | – | 9 | – | 9-12 | 7 | – | – | 5 | 5 | 8 | – | – | 5 | – | – | – | – | – | 5 | 5 | 10 | – | – | – | – |
| 9 | ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 5 | 10-11 | 5-8 | 7 | 8 | II | – | – | – | 8 | 7 | 6 | 4 | 4-6 | 4 | III | III | 4 | – | 5 | 8 | 8 | 4-6 | – | II | III | III |
| 10 | ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი | 4 | III | 9-12 | – | 10 | 9-12 | 6 | – | – | 11 | 11 | 5 | – | – | – | – | – | – | 5 | – | 9 | – | 7-9 | – | – | – | 5 |
| 11 | გორის ეკონომიკური ინსტიტუტი | – | 7-9 | 9-12 | – | – | 9-12 | – | – | – | II | 10 | 7 | – | – | – | – | – | – | – | III | – | – | – | – | III | – | – |
| 12 | ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი | – | 4-6 | – | – | – | 5-8 | 4 | – | – | – | III | – | – | II | 8 | – | – | – | – | – | – | 10 | 7-9 | – | – | – | – |
| 13 | ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი | 10 | 7-9 | 5-8 | 6 | 5 | – | – | 4 | – | – | 4 | 12 | – | 4-6 | – | – | – | – | – | – | 6 | 7 | – | – | – | – | – |
| 14 | თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი | – | – | 9-12 | 8 | 6 | 4 | 8 | – | – | 9 | – | – | – | 4-6 | 6 | – | – | – | – | 6 | – | – | – | – | – | – | – |
| 15 | სუბტროპიკული ინსტიტუტი | – | – | 9-12 | 5 | – | 9-12 | – | – | – | 10 | 12 | 10 | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | 4-6 | – | – | – | – |
| 16 | უცხო ენათა ინსტიტუტი | 7 | – | – | – | – | – | – | – | – | – | 8 | – | – | – | – | 5 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| 17 | სამხატვრო აკადემია | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 7 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| 18 | თეატრალური ინსტიტუტი | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| 19 | სახელმწიფო კონსერვატორია | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |

რესპუბლიკური უნივერსიადის შედეგები 27 სახეობის შემდეგ (ოფიციალური ჩათვლა დაკავებული საპრიზო ადგილების მიხედვით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე

საუბარი აბიტურიენტებთან

# ათი გაკვეთილი ფიზკულტურაში

**გაკვეთილი მეექვსე.** წინა ხუთ გაკვეთილზე ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ ორგანიზმის საერთო მომზადებაზე და ამიტომ დატვირთვა უმნიშვნელოდ, მაგრამ თანდათანობით იზრდებოდა. ახლა უკვე მივუახლოვდით ჩასათვლელ ნორმატივს და დანარჩენი გაკვეთილები უფრო ინტენსიური იქნება. დავიხსომოთ, დილის გამამხნევებელი ვარჯიში ყველა მეცადინეობის დაწყებამდე სავალდებულოა. ვაჟები ამჯერად 800 მეტრს გაირბენენ არა ნელი, არამედ აჩქარებული ტემპით. წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა (ე. წ. მკლავებზე აწევა) უნდა შევასრულოთ 12-ჯერ, ხოლო ბუქნი წინმკლავში — 30-ჯერ. ვარჯიშებს შორის უნდა შევისვენოთ.

გოგონები გაირბენენ 400 მეტრს აჩქარებული ტემპით. ბუქნი წინმკლავში სრულდება 25-ჯერ, ამის შემდეგ ოდნავ შევისვენებთ და ვასრულებთ წოლელა მდგომარეობიდან წამოჯდომს — 20-ჯერ.

# ეს სხვებსაც აინტერესებთ...

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მუშაობას შეუდგა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ჯგუფები. შეგახსენებთ, ჯგუფში გაერთიანება ნებაყოფლობითია. არსად დაგვიწერია და ოფიციალურად არავის უთქვამს, თითქოს აბიტურიენტი სააბონემენტო ჯგუფში თუ არ გაერთიანდა, ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლის მისაღებად არ დაუშვებენო. ეს ჭორია. ვიმეორებთ, სააბონემენტო ჯგუფში მხოლოდ იმას შეუძლია ჩაეწეროს, ვისაც ამის სურვილი აქვს. მსურველები კი არიან, რატომ არ უნდა გავუწოდოთ მათ დახმარების ხელი? შეგახსენებთ აბონემენტის ღირებულებაა 3 მანეთი.

ზოგიერთი მშობელი უნდობლობის გამოწვევის მიზნით ჯერ იმას ძოითხოვდა, სააბონემენტო ჯგუფში ჩასარიცხად (ეს ცურვას არ ეხება) ბავშვებს სამედიცინო ცნობას ნუ მოვთხოვთ, რადგან ფიზიკური დატვირთვა მინიმალურიაო, ახლა ზოგიერთი კატეგორიულად აცხადებს: ასე როგორ შეიძლება, ბავშვს რომ რამე მოუვიდეს, პასუხს ვინ აგებსო.

ადრე ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ, ჯგუფში სამეცადინოდ მოდიან მხოლოდ ჯანმრთელები, მაგრამ ყოველგვარი მითქმა-მოთქმისა და უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, ცხადია, უმჯობესია ყველას ხელთ ჰქონდეს ექიმის ნებართვა, რომ მისთვის ფიზიკური ვარჯიში შეიძლება.

ვინც გუშინ რედაქციაში დარეკა და გვთხოვა დაგვეზუსტებინა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჯგუფების მეცადინეობის გრაფიკი, ვაცნობებთ: მოსამზადებელი სააბონემენტო ჯგუფები „დინამოს“ სტადიონზე მუშაობს დილის 8 საათიდან, 13 საათიდან და საღამოს 19 საათიდან — თითო აკადემიური საათით.

**ყურადღება! სპორტული კომპლექსი „ბურევესტნიკი“ აცხადებს მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში, აბიტურიენტთათვის, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებელში.**

**მეცადინეობები ჩატარდება დილის 9 საათიდან საღამოს 22 საათამდე. ცნობებისათვის დარეკეთ: 39-26-14 ან 39-59-38.**

**მისამართია: უნივერსიტეტის ქ. № 6.**

# პასუხი შეკითხვებზე

● **თანაბარქულიანებში ვის მიეცემა უპირატესობა — იმას, ვისაც ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლა აქვს მიღებული, თუ იმას, ვინც სხვა შეღავათებით სარგებლობს?**

— ფიზიკური მომზადება სულ ბოლო პუნქტად არის შეტანილი შეღავათების ჩამონათვალში. ასე რომ, თუ ყველა დანარჩენი მაჩვენებლები ან სხვა მონაცემები ორ ან რამდენიმე აბიტურიენტს ერთნაირი ექნება, სულ ბოლოს საკითხს გადაწყვეტს ჩათვლა ფიზიკურ მომზადებაში.

● **თავისუფლდებიან თუ არა ფეხმძიმე ქალები ფიზკულტურაში ჩათვლებისგან?**

— დიახ, თავისუფლდებიან. საჭიროა სათანადო ცნობის წარდგენა მიმღებ კომისიაში.

● **საღამოს სკოლის კურსდამთავრებულები აბარებენ თუ არა ნორმატივებს ფიზიკურ მომზადებაში?**

— დიახ, აბარებენ. ვინც საღამოს სკოლაში სწავლობდა, ის მუშაობდა კიდეც და ფიზკულტურულ კოლექტივში ირიცხებოდა.

● **ხომ შეიძლება, რომ იმ ქალაქიდან ჩამოსულმა აბიტურიენტებმა, სადაც მიმღები კომისიები მუშაობენ, ყალბი ჩათვლა „გააზერხონ“? სამართლიანი იქნება, რომ მათ თანაბარქულიანებში უპირატესობა მიენიჭოთ?**

— საპრეტენზიო კომისია უფლებას იტოვებს, თანაბარქულიანების დავის გადასაწყვეტად, თუ ეს საჭირო გახდება, გადაამოწმოს მათი ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივების განმეორებით ჩაბარებით.

**დღეს, 21 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით შეგიძლიათ ნახოთ სპეციალური გადაცემა „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე“.**

# ჩემპიონი — პირველად

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დავით ქვესელავას V მემორიალი — იმავე დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საჭადრაკო პირველობა. თვალსაჩინო ქართველი მათემატიკოსი, პროფესორი დ. ქვესელავა ჭადრაკის დიდი მოთაყვანე, პოპულარიზატორი და ძლიერი მოთამაშეც გახლდათ. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ტრადიციულად ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა.

წლევანდელ შეჯიბრებაში პირველად გაიმარჯვა ს. ჩობანიანმა (13 ქულა 17-დან). აკადემიის ახალი ჩემპიონი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ს. ჩობანიანი ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. 12,5 ქულით და უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი დაიკავა გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ გ. ჯაშმა, მესამე ადგილზეა ამავე ინსტიტუტის საცდელ-მეთოდური ექსპედიციის უფროსის მოადგილე ი. ბლუაშვილი (12,5 ქულა).

ტურნირი ჩატარდა „სწრაფი ჭადრაკის“ სახით (ნახევარ-ნახევარი საათი თითოეულ პარტიაზე), რასაც მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

**თამაზ ეგანიძე.**

## ქართული ჭიდაობის ზეიმი

# პასტორალი კიროვის პარკში

**როგორც** სოფელში, რომელიმე დღეობაზე, ისე გულითადად ხვდებოდნენ და ესალმებოდნენ ერთმანეთს კიროვის პარკის გუშინწინდელი სტუმრები. მათ შორის მართლაც მრავლად იყვნენ თანასოფლელები. ზოგი საგანგებოდ გამოყოფილი ავტობუსებით, ზოგი საკუთარი მანქანით ჩამოსულიყო ქალაქში და საუბარში კლავდნენ ჭიდაობამდე დარჩენილ დროს. შეჯიბრება რომ დაიწყო, ბავშვთა კალათბურთის სასახლის ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა.

ვინც გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული განცხადება წაიკითხა, უკვე მიხვდა, რომელ ჭიდაობაზეა ლაპარაკი. 29 მაისს კიროვის პარკში მოეწყო ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის გამართული რესპუბლიკური პირველობის ფინალი. ერთმანეთს ხვდებოდნენ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურისა და კასპის რაიონის სოფელ მეტეხის გუნდები...

ნებისმიერი შეჯიბრება, უწინარესად, მაყურებელთა ინტერესით ფასდება, რაც, თვით პირველი საფეხურიდანაც კი, ამ ასპარეზობას არ დაჰკლებია. მეტიც, მოჭარბებული ემოცია უკიდურესობამდე ამწვავებდა თითოეულ შეხვედრას. მთლიანად ეს პირველობა, საბედნიეროდ, ზუსტი ბარომეტრი გამოდგა ქართული ჭიდაობის დღევანდელი მდგომარეობისა. თურმე ნაღვერდალს გაღვივება სჭირდებოდა, ასეთი ცეცხლი რომ დანთებულიყო. ფინალური შერკინებაც ამ გრძელვადიანი ტურნირის ნამდვილი მშვენება იყო.

ფინალი კიდევ იმითაც იყო გამორჩეული, რომ მაყურებელთა ემოცია ამჯერად ტრიბუნას არ გასცილებია და შეჯიბრების მსვლელობა არ დაურღვევია.

პირველობის ამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მტკივნეული საკითხის მოგვარება მეტად ავტორიტეტული ჟიურის მეცადინეობამაც განაპირობა. ჟიური მართლაც ისე იყო შედგენილი, რომ მაყურებელს ეჭვი არ უნდა შეჰპარვოდა მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეში, მით უფრო, რომ მას სათავეში ლევან თედიაშვილი ედგა.

თითოეულ სოფელში დიდი მონდომება გამოიჩინეს ფინალური შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად. როგორც გუნდების წარმომადგენლებმა გვითხრეს, მთელი სოფელი მხარში ედგათ. ყველამ კარგად იცოდა, რა ფასი ექნებოდა გადამწყვეტ შეხვედრაში გამარჯვებას. არჩევანიც ორივე მხარეს დაახლოებით ერთნაირი ჰქონდა: მეტეხსაც ჰყავს ჭიდაობის ოფიციალური ჯგუფები და ქისტაურსაც. ქართული ჭიდაობის საღამოებიც ზაფხულობით ორივე სოფელში იმართება. ასე რომ, გუნდებში მოქმედი სპორტსმენებიც იყვნენ და ჭიდაობის ვეტერანებიც, თანასოფლელთა თხოვნით რომ გამოვიდნენ სარბიელზე.

როცა გუნდები გამწკრივდნენ და დიქტორმა მოჭიდავეთა ტიტულები ჩამოთვალა, ცხადი გახდა, რომ ქისტაურის გუნდში უფრო სახელიანი ფალავნები იყვნენ, თანაც სწორედ მათ გაიმარჯვეს შარშანდელ პირველობაში. ამას, ცხადია, უფროსი ასაკის მოჭიდავეებზე ვამბობთ,

„უტიტულოთა“ შორის კი იმარჯვეს კასპელმა ფალავნებმა და ზედიზედ ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვეს. ივანე გამხიტაშვილმა ნუგზარ კაიშაურს სძლია, ხოლო ჯაბო ქამხაძემ — ისაკ მაისურაძეს. ეს გახლდათ 15 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შეხვედრები.

17 წლამდე ასაკის ფალავანთა ორმა შერკინებამ თავდაპირველი მდგომარეობა აღადგინა: ქისტაურელმა რამინ უძილაურმა იოლად მოუგო გენადი ქენქაძეს, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ვასილ ომარაშვილმა ზაზა ხუციშვილს სძლია. ეს შეხვედრა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თუნდაც იმით, რომ გამარჯვებული მეტოქეზე 45 კგ-ით (!) მსუბუქი იყო. მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავმა, ტექნიკურმა ვასილ ომარაშვილმა გამოცდილი ფალავნის შეუპოვრობა გამოავლინა და, თუმცა ორთაბრძოლას აგებდა, ბოლოს მაინც მიაღწია საწადელს. ნორჩი ფალავნის ოსტატობამ ნამდვილი აღტაცება გამოიწვია დარბაზში.

შემდეგ კი დაიწყო შეუზღუდავი ჭიდაობა. არც წონას ენიჭებოდა მნიშვნელობა, არც — ასაკს. ორივე მხარე დიდი სიფრთხილით ირჩევდა „ტაქტიკას“, ანგარიშობდა, ვინ ვისთვის შეეხვედრებინა. თავიანთი ფავორიტები ჰყავდათ და ცდილობდნენ, ისინი სწორედ საჭირო დროს გაეყვანათ საჭიდაო წრეში. ცოტა ღიმილის მომგვრელიც კი იყო, როგორ მალავდნენ ფალავნებს კალათბურთის ფარის მიღმა, რათა მეტოქეს მათი განზრახვა არ შეეტყო (წესით, განაცხადში თოთხმეტ-თოთხმეტი სპორტსმენი ჰყავდათ, ჭიდაობით კი მხოლოდ ცხრა-ცხრას უნდა ეჭიდავა).

შეჯიბრებაში გარდატეხა შეიტანა კასპელ ფალავანთა მწვრთნელმა ნუგზარ მამულაშვილმა, რომელმაც არა მარტო რჩევა-დარიგებებით, პირადი წვლილითაც ჩაუყარა საფუძველი თავისი გუნდის გამარჯვებას. მან გამოცდილება მოიშველია და დაამარცხა 13 წლით უმცროსი მეტოქე, ახალგაზრდა, ძლიერი ფალავანი ზაქრო ებელაშვილი. უფრო სწორად, ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3. რადგან მამულაშვილს სამქულიანი ილეთი ჰქონდა შესრულებული, გამარჯვება მას მიეკუთვნა.

მომდევნო მეტოქეს ქისტაურელები დიდხანს არჩევდნენ და ბოლოს სამბოში მსოფლიო თასის მფლობელს ნოდარ მალვენიშვილს მიანიჭეს უპირატესობა. მალვენიშვილმა და მისმა მეტოქემ, ასევე ჭიდაობის ვეტერანმა, საქართველოს ექს-ჩემპიონმა ოთარ ყურაშვილმა მთავარ იარაღად სიფრთხილე მოიშველიეს და მათი ნაკლებ საინტერესო ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. პირველობის შარშანდელი ჩემპიონი — ქისტაურის გუნდი — საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ერთი დამარცხებაც და მისთვის ყველაფერი დამთავრდებოდა.

შეჯიბრების გადამწყვეტი და ალბათ ყველაზე საინტერესო შეხვედრა ცნობილი ფალავნის, კასპელი დავით ხოდელისა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის დავით ბაგაურის ორთაბრძოლა გამოდგა. თავდაპირველად ბაგაური აქტიურობდა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს. 5:1 — შეხვედრა მოიგო დავით ხოდელმა და საბოლოო გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

უსაზღვროდ გახარებულმა კასპელებმა სახელდახელოდ აქვე იზეიმეს წარმატება და შემდეგ დარჩენილი ორი ფალავანიც გამოიყვანეს საჭიდაოდ. ბოლო ორთაბრძოლებს ფაქტობრივად მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს შეხვედრები ქისტაურელმა სპორტსმენებმა მოიგეს. ხვიჩა ჯანიბეგაშვილმა წმინდად დაამარცხა რამაზ გოგიაშვილი, ხოლო ვასილ მამულაშვილმა უარი თქვა გიორგი კვიცაშვილთან ბრძოლის გაგრძელებაზე.

ამრიგად, ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს მეტეხელმა ფალავნებმა და თავიანთ სოფელს ერთი „უგემო“ ზეიმი აჩუქეს. სხვათა შორის, მეტეხის გუნდი შარშანდელ გათამაშებაში არ მონაწილეობდა და აი, მთავარი ჯილდო, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზი,





პირველივე ცდით მოიპოვა. ამ წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გუნდის მეორე მწვრთნელის, ქართული ჭიდაობის ცნობილი სპეციალისტის ლავრენტი კაციაშვილის დახმარებამ. დამარცხებულ გუნდს კი ნოდარ მალვენიშვილი და ტარიელ შათირიშვილი თავკაცობდნენ.

შეჯიბრებაზე გათამაშდა სხვადასხვა პრიზი. ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის სახელი დავით ბაგაურს მიაკუთვნეს, ყველაზე პერსპექტიულისა — ივანე გამხიტაშვილს, ყველაზე სწრაფი გამარჯვებისათვის დააჯილდოვეს სოსო მაისურაძე, ეფექტური მოგებისათვის — გია სეხნიაშვილი. დაუმარცხებელი ფალავნის სახელი დავით ხოდელმა მოიპოვა.

ასეთ თავგამოდებულ გულშემატკივართა შორის ადვილი არ იყო ჭიდაობის ყველაზე ერთგული ქომაგის გამორჩევა. ეს მეტად საპატიო პრიზი დაიმსახურა დიღმელმა ბიჭიკო გოგშელიძემ.

— ძნელია ამ შეჯიბრების მსაჯობა? — ვკითხეთ ლევან თედიაშვილს. მხედველობაში მარტო ეს შეხვედრა კი არ გვქონდა, არამედ მისი წინასწარი ეტაპებიც, რომელთა დროსაც ზოგჯერ ტურნირის მსვლელობა ფერხდებოდა.

— ძნელი არ არის, თუ ყველა წესს ზუსტად დაიცავ. თუმცა, დამარცხებული მაინც უკმაყოფილო დაგრჩება. ჩემი აზრით, ყველა გუნდის გულშემატკივრებთან შეჯიბრების წინ საუბარია საჭირო, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჭიდაობის წესები მხოლოდ მათთვის კი არაა დაწერილი, საერთოა.

როგორც ამ პირველობის ორგანიზატორებმა გვაცნობეს, მომავალი შეჯიბრებისათვის დებულება უფრო დაიხვეწება, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ტურნირის უფრო მაღალ დონეზე ჩატარებას.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ სამ ადამიანზე, სამ მუსიკოსზე — 78 წლის გეორქ თეიმურაზიანზე, 77 წლის ოვაგინ ბალიანზე და 62 წლის დავით გოცირიძეზე. ის ხიბლი, რომელიც ჩატარებულ ასპარეზობას ჰქონდა, მნიშვნელოვანწილად ამ დასტის დამსახურებაც არის.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

● ● ●

**სურათებზე: მეტეხის გუნდი და მისი ხელმძღვანელი ნუგზარ მამულაშვილი საპატიო პრიზებით ხელში.**

### სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი

# „ეს მაყურებელთა აბუჩად აგდებაა“...

სწორედ ამ სიტყვებით მოგვმართეს ფეხბურთის მოყვარულებმა, რომლებიც გუშინ დილით გვეწვიენ რედაქციაში. ეს იყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩზე დამსწრეთა ერთი ჯგუფი, მათ ნახეს თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შეხვედრა და ის დასკვნაც გამოიტანეს, რომ დინამოელებმა მაყურებლები აბუჩად აიგდეს.

გულშემატკივართა წერილის აქ მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან, ვინც კი 29 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მივიდა და ეს თამაში ნახა, სავსებით დაგვერწმუნება, რომ თბილისის დინამოელთა მიერ ჩატარებული საკავშირო მნიშვნელობის სათასო მატჩი, მათი ყოვლად უპასუხისმგებლო, უგულო, უსუსური თამაში სხვა არაფერია, თუ არა მაყურებელთა აბუჩად აგდება, მათი ინტერესების, მათი აქტიური მხარდაჭერის სრული უგულებელყოფა.

დღენიადაგ იმაზე ვლაპარაკობთ, რომ თბილისის „დინამო“ ცუდად თამაშობს, თბილისის „დინამო“ არ იბრძვის, თბილისის „დინამო“ არ ცდილობს ოდნავ მაინც გამოასწოროს შექმნილი მძიმე მდგომარეობა. მისი ახლანდელი თამაშის კლასი გვაშფოთებს და გვაღელვებს ერთიანად ყველას, გარდა... თვით დინამოელებისა.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასი, შესაძლოა, ჯერ ვერ იქცა პირველხარისხოვან შეჯიბრებად, ოფიციალური სტატუსის გარდა მას საწვრთნელ-სავარჯიშო ფუნქციებიც აკისრია, მაგრამ როცა იხსენებ 29 მაისის ამ თამაშს, შეფასებისთვის სხვა სიტყვები ვერ გვიპოვია, თუ არა ისევ გულშემატკივართა ის შეხედულება, რომ დინამოელებმა აბუჩად აიგდეს მაყურებელი.

თბილისის „დინამოს“ რიგებში ამ დღეს არ გამოდიოდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (გაბელია, არზიანი, სულაქველიძე, შენგელია), მაგრამ ბაქოელთა შემადგენლობაშიც არ იყვნენ პანჩიკი, პონომარიოვი, აჰმედოვი, ჯავადოვი (მეკარე მიხაილოვიც მხოლოდ 85-ე წუთზე გამოვიდა მინდორზე). ასე რომ, საბრძოლო შემადგენლობის თვალსაზრისით მეტოქეები ქვითნი იყვნენ, აი, თამაშის ხალისით, საბრძოლო განწყობით, სპორტული ფორმის შენარჩუნებისა და სრულყოფის თვალსაზრისით კი ბაქოელი ფეხბურთელები მასპინძლებზე რამდენიმე თავით მაღლა იდგნენ. პრესის ლოჟაში მყოფთა შორის ამ მატჩზე იყვნენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბორის პაიჭაძე** და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ნესტორ ჩხატარაშვილი**. ეს ორი ნაცადი ვეტერანი, რომელთა დიდი ღვაწლი ყველასათვის კარგად ცნობილია, ვერ მალავდა თავის უკმაყოფილებას და აღშფოთებას „დინამოს“ ფეხბურთელთა სრული ინერტულობით, უხალისობით, მოუნდომებლობით და იმ დემონსტრაციულად გამოხატული განწყობით, რომ მთლიანად მთელ გუნდს არავითარი სურვილი არ გამოუჩენია ეთამაშა თავგამოდებით.

და ეს მაშინ, როცა ახლა საკავშირო ჩემპიონატში შესვენებაა, როცა წვრთნის, ოფიციალური თუ ამხანაგური შეხვედრების ყოველი დღე ჩვენთვის ძვირად ფასობს, თითოეულმა დინამოელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ ჩემპიონატის განახლებას საბრძოლო ფორმაში შეხვდეს და რამდენადმე მაინც გამოასწოროს ახლანდელი სერიოზული ჩავარდნა. საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ, დროც საკმარისადაა, მაგრამ შექმნილი კატასტროფიული მდგომარეობის გრძნობა მათ, ეტყობა, არა აქვთ და ასე ჩანს არც ის ედარდებათ თუ როგორ დამთავრდება ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასის ოფიციალური მატჩი ბაქოს „ნეფთჩისთან“. ბაქოელთა გუნდი კი ერთ-ერთი ჩვენი ძირითადი კონკურენტია ჩემპიონატის აუტსაიდერთა ჯგუფში!

სხვათა შორის, როცა თბილისის დინამოელები მეორე ტაიმში მინდორზე გამოდიოდნენ, ზემოხსენებულმა ვეტერანებმა უმალ შეამჩნიეს, რომ ფეხბურთელები განზრახ ზანტად, ზლაზვნით და უხალისოდ მიემართებოდნენ მწვანე მინდვრისკენ. ეტყობა, ზოგიერთ მათგანს თამაშის მეორე ნახევრის ჩატარება ზედმეტ ტვირთად მიაჩნდა და ის მომავალი 45 წუთიც უსარგებლო გარჯად ეჩვენებოდა. დინამოელთა ეს განწყობილება, რა თქმა უნდა, მაყურებლებმაც კარგად იგრძნეს. სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა „დინამოს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თამაშის დროს მოუხმო გუნდის კაპიტანს და ხმამაღალი შენიშვნა მისცა, რომ ასეთი გულგრილი თამაში ყოვლად დაუშვებელი იყო. მაგრამ ფეხბურთელთა განწყობილება მინდორზე არც ამის შემდეგ შეცვლილა. დინამოელებმა მერეც ისევე უგულოდ და ინდიფერენტულად განაგრძეს თამაში და ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ბოლო 10 წუთის მანძილზე გამოცოცხლდა, ამოძრავდა, ტემპმაც მოიმატა. ეს ფრიად ნაგვიანევი [illegible] კი მას [illegible] მოჰყვა.

ერთი სიტყვით, ფედერაციის თასის მატჩი ჩვენი გუნდისთვის არც წვრთნა გამოდგა, არც ოფიციალური თამაში, მას არავითარი სარგებელი არ მოუცია. საერთოდ, აბლაც გაუგებარია რა უნდოდათ ამ დღეს ჩვენს ფეხბურთელებს, დინამოელთა თამაშის ტაქტიკურ გარჩევას თუ შევუდგებით, აქ საერთოდ ვერაფერს გაარკვევ ვის რა ამოცანა ჰქონდა, ვის რა ევალებოდა, ვინ რას ისახავდა მიზნად!

სწორია: ფეხბურთელებმა მაყურებლებიც აბუჩად აგვიგდეს და შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ჩვენმა დღევანდელმა გუნდმა საერთოდ დაგვიკარგოს ფეხბურთზე დასწრების ყოველგვარი ხალისი.

ვის ეპატიება თბილისის „დინამოს“ დალუპვა? არადა, სამწუხაროდ, საქმე სწორედ იქით მიდის.

მეტოქეებმა ამ დღეს ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **„დინამო“**: ჰანტურია, ცხადაძე, თევზაძე, ჰედია, გ. ჯიშკარიანი (ფირცხალავა), კორღალიძე, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, გურული, მესხი (მ. ჯიშკარიანი); **„ნეფთჩი“**: ჰასანოვი (მიხაილოვი), აზიმოვი, აბდულაევი, ასადოვი (აბუშევი), ალხასოვი, სულეიმანოვი, რზაევი, მირზოევი, კადიროვი, ალეკბეროვი (ლემიში), ალიევი. მსაჯი მ. იოფე (მოსკოვი). გააფრთხილეს გ. ჯიშკარიანი და რზაევი. გოლები: სვანაძე (47 წ.), რზაევი (49), ალიევი (59), ლემიში (69), ფირცხალავა (81).

• • •

ამ დღეს შედგა თასის სხვა მატჩებიც: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მინსკი) 2:1, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (კიევი) 3:1, „შახტიორი“ (დონეცკი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 2:1, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:3, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი“ (ერევანი) 0:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:0.

---

**ფეხბურთი ფეხბურთი**

## I ლიგა

**29 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XII ტურის მატჩები.**

**საქართველოს** გუნდებმა საკუთარ მინდვრებზე წარმატებებს მიაღწიეს. ლანჩხუთის „გურიამ“ ნიკოპოლის „კოლოსი“ მიიღო და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ჩვენი კორესპონდენტი **ბ. მურვანიძე** ბათუმიდან გვატყობინებს ადგილობრივი „დინამოსა“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მატჩის შესახებ: დინამოელთა კოლექტივი ამ მატჩზე ახალი უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით გამოვიდა. ბათუმელებმა მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს, „მეტალურგის“ კართან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, კარგი მომენტები ვერ გამოიყენეს თოფურიძემ, თორღაშვილმა და სხვებმა, 26-ე წუთზე ბიგვავას მიერ მოწოდებული კუთხური კარგად გამოიყენა თოფურიძემ და გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ, 47-ე წუთზე, სტუმრების კარში მეორე ბურთი გაიტანა ათუაშვილმა და დინამოელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ეს გამარჯვება.

მარცხი იწვნია ლიგის ლიდერმა სტავროპოლის „დინამომ“, რომელმაც შინ ანგარიშით 0:1 წააგო ლვოვის ასკ „კარპატისთან“. გამარჯვება მოიპოვა რიგის „დაუგავამაც“, რომელმაც ორჯონიკიძეში მოუგო „სპარტაკს“ — 6:2.

• • •

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი“ (კემეროვო) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:2, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:2, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:1.

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) და ცსკა — ასკ (დონის როსტოვი).

მომდევნო ტურის მატჩებს საქართველოს გუნდები სტუმრად ჩაატარებენ: 8 ივნისს ლანჩხუთის „გურია“ დუშანბეში ითამაშებს „პამირთან“, ხოლო ბათუმის „დინამო“ — ტაშკენტის „ფახთაქორთან“.

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგ კალენდარულ მატჩში (VI ტური) თბილისის „ლოკომოტივი“-ომც-მ კამიშინის „ტექსტილშჩიკი“ მიიღო.

## II ლიგა

პირველი 20 წუთის განმავლობაში მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ, 21-ე წუთზე სტუმრებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს, კერძევაძემ 11-მეტრიანით გახსნა ანგარიში — 1:0. თბილისელებს არ შეუწყვეტიათ შეტევები და კერძევაძის ინდივიდუალურ გარღვევას „ტექსტილშჩიკი“ საჯარიმო მოედანზე კვლავ წესის დარღვევით შეხვდა. კერძევაძის 11-მეტრიანი ძელს მოხვდა, შემდეგ — მეკარეს, დაუბრუნდა მინდორს, კერძევაძემ მოასწრო მიზანში დარტყმა, მაგრამ მსაჯმა გაუგებარი მიზეზით ბურთი არ ჩაუთვალა.

50-ე წუთზე მსაჯმა მესამე თერთმეტმეტრიანი დანიშნა, ამჯერად თბილისელთა კარში. მუჰამედოვის დარტყმის მიმართულება გამოიცნო მეკარე დოლიძემ, მოიგერია ბურთი, მაგრამ მუჰამედოვის განმეორებითი დარტყმა გოლით დამთავრდა.

70-ე წუთზე ყაველაშვილმა კვლავ წინ გაიყვანა მასპინძლები, თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ანგარიში ისევ გათანაბრდა — 2:2. თბილისელთა ცდას, დარჩენილ წუთებში შეეცვალათ სხვაობა, ანგარიშში შედეგი არ მოჰყოლია.

---

### საქართველოს პირველობა

**გაიმართა** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის მატჩები: „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იველია“ (ხაშური) 2:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:5, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0, „დინამო“ (გაგრა) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:2, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0.

29 მაისს რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშების ლიდერი სარატოვის „სოკოლი“. რუსთაველმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

---

# ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი ზესტაფონში

**თბილისის** „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი ამას წინათ ზესტაფონს ეწვია. სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქში ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის დაარსებაში. კლუბის საპატიო წევრად მანუჩარ მაჩაიძე აირჩიეს. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის კულტურის სახლში ფეხბურთის მოყვარულებმა შეკითხვებით მიმართეს ტყავის ბურთის ცნობილ ოსტატებს, შეკრებილთ განსაკუთრებით აინტერესებდათ ჩვენი პირველი გუნდის დღევანდელი მდგომარეობა, პერსპექტივები და სხვა. შეკითხვებს პასუხი გასცეს ალექსანდრე ჩივაძემ, რამაზ ურუშაძემ, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებმა და სხვებმა.

ზესტაფონის „მეტალურგის“ სტადიონზე საღამოს გაიმართა ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა გუნდსა და ადგილობრივ „მეტალურგს“ შორის. თამაში საინტერესოდ წარიმართა, პირველი ბურთი მასპინძელთა კარში ვ. ქორიძემ გაიტანა, „მეტალურგმა“ 65-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში (ნ. კიკნაძე), თამაშის დასასრულს კი თავი გამოიჩინა მ. მაჩაიძემ. 2:1 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელმა ვეტერანებმა. დინამოელთა რიგებში ამ დღეს გამოდიოდნენ რ. ურუშაძე, თ. სხვაძე, თ. კოსტავა, გ. ჭილაია, ვ. ქორიძე, გ. მაჩაიძე, დ. ხუნდაძე, ს. მეტრეველი, ბ. მჭედლიშვილი, ლ. ნოდია, ნ. ბაზაზაშვილი, გ. ნოდია, ა. ილიადი, ზ. ებრალიძე.

**ილია მჭედლიშვილი.**

---

### ნორჩ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი

# ქებლა ჯილდოს დაეუფლნენ

**მასპინძლები**, კიეველები, ხუმრობდნენ, თბილისელ წყალბურთელებს ჩვენს ტურნირზე აღარ მოვიწვევთ, „ცუდი სტუმრობა“ სცოდნიათო.

მართლაც, საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტსკოლის (დირექტორი მერაბ ქართველიშვილი) აღსაზრდელებმა კიევში გამართულ საკავშირო ტურნირზე მოიპოვეს უკლებლივ ყველა პრიზი, რაც დაწესებული იყო.

ეს შეჯიბრება, რომელშიც 1975 წელს დაბადებული ნორჩები მონაწილეობდნენ, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ალექსანდრ ბარკალაევის სახელობის პრიზზე ჩატარდა.

ჩვენმა წყალბურთელებმა დაამარცხეს ასპარეზობის ყველა მონაწილე: ალმა-ათის, ყაზანის, მოგილიოვის, გომელის, ლვოვის, კიევის ორივე გუნდი და პირველი ადგილიც დაიმსახურეს.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი, ალექსანდრე ბარკალაევის სახელობისა გიორგი გვარამაძემ მოიპოვა.

ამ შეჯიბრებაზე საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც რომ ყოფილიყო, მასაც გვარამაძე დაეუფლებოდა, რადგან ტურნირზე ყველაზე მეტი გოლი, 24, სწორედ მან გაიტანა.

ჩვენი წყალბურთელების ნადავლი ამით არ ამოწურულა. საუკეთესო მცველისთვის დაწესებული ჯილდო ამირან ჩაჩავამ დაიმსახურა, ხოლო ესტატე ხაბაზიშვილი საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

მათ გარდა თბილისელთა რიგებში იყვნენ: ომარ მიქაბერიძე, ირაკლი ბოკუჩავა, ვიქტორ ბუზალაძე, არჩილ გეგენავა, დავით ვასაძე, ნიკოლოზ ტაბატაძე, გიგა სიფრაშვილი, თემურ გაფრინდაშვილი, დავით ჩოდრიშვილი და მიხეილ დუგლაძე (მწვრთნელი გოჩა სეხნიაშვილი).

საინტერესოა, რომ ამ გუნდმა, ძირითადად ამავე შემადგენლობით, შარშან მინსკისა და ბაქოს საკავშირო ტურნირებზეც გაიმარჯვა.

იმედია, წარმატებათა სერია გაგრძელდება.

**ნ. ხოშტარია.**



თბილისის ნორჩ წყალბურთელთა გუნდი.

---

**ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტები ემზადებიან მომავალი შეჯიბრებისთვის. ინგლისის ნაკრებმა ლოზანაში ამხანაგური მატჩი გამართა შვეიცარიის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი 59-ე წუთზე გაიტანა ლინეკერმა. ეს მისი 26-ე გოლია ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 32 შეხვედრაში.

ინგლისელ ფეხბურთელთათვის ეს მატჩი, რომელსაც სულ 15 ათასი მაყურებელი დაესწრო, თავისებური გენერალური რეპეტიცია იყო. ნაკრების ხელმძღვანელმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომ თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია, ჩემპიონატის დაწყებამდე მას კიდევ აქვს ცალკეულ ნაკლოვანებათა გამოსწორების დრო.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრებმა ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩატარებულ 17 საერთაშორისო მატჩში იგი მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის თასი მოიპოვა „აინტრახტმა“, რომელმაც ფინალურ მატჩში ანგარიშით 1:0 მოუგო „ბოხუმს“. ეს ბურთი გაიტანა „აინტრახტის“ შემადგენლობაში მოთამაშე უნგრელმა დეტარიმ.

# ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ — ᲣᲬᲐᲛᲚᲝᲓ

**ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ** ასე დაიწყო: ვიღაცამ გაიგო, რომ საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის სოლისტი ბორის ბერეჟნოი ათლეტურ ტანვარჯიშს მისდევდა, თუმცა ამ „საიდუმლოების“ ამოხსნას დიდი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა, ბორისის გაშლილ მხრებს და დაკუნთულ სხეულს თუ შეავლებდი თვალს. მერე და მერე იმასაც „აეხადა ფარდა“, რომ კომიტეტში ვიღაც-ვიღაცეები „ჩუმ-ჩუმად“ ჯანმრთელობას იკაჟებდნენ. თანამოაზრეებმა მალე გამონახეს საერთო ენა და ერთად დაიწყეს ვარჯიში. ბორის ბერეჟნოის კონსერვატორიის დიპლომის გარდა ათლეტური ტანვარჯიშის მწვრთნელის სათანადო მოწმობაც „აღმოაჩნდა“. თავიდან ეს ჯგუფი, უფრო სწორად კი კვარტეტი, სავარჯიშოდ თითქმის ჩვეულებრივ ოთახში იკრიბებოდა. ერთ თვეში მოვარჯიშეთა რიცხვი ხუთგზის გაიზარდა. ამ ამბავმა კომიტეტის ხელმძღვანელობის ყურამდეც მიაღწია. მათ გადაწყვიტეს, საკუთარი თვალით ენახათ მეცადინეობა. ნახეს და იმდენად მოეწონათ, თვითონაც დაიწყეს ვარჯიში. იქვე დაიბადა აზრი, რომ ყოველნაირად შეეწყოთ ხელი ჯანმრთელობის გაკაჟების ამ მართლაც უებარი საშუალებისთვის. ასე შეიქმნა ათლეტური კლუბი „იმპულსი“. დღეს ათლეტური ტანვარჯიშის დარბაზი საკმაოდ კეთილმოწყობილია. აქვთ თანამედროვე სპორტული ინვენტარი, საშხაპე, საუნა, პატარა აუზი. 80 ენთუზიასტი ვარჯიშობს. მათ შორის ოცი ქალია.

— ინვენტარის შეძენაში დაგვეხმარნენ ადგილკომის თავმჯდომარე ილია კევლიშვილი და რადიოტელეცენტრის დირექტორი გივი ბენდუქიძე. მათ 2 ათასი მანეთი გამოყვეს, — გვეუბნება ბორის ბერეჟნოი.

— როგორ დაიწყეთ ათლეტურ ტანვარჯიშში მეცადინეობა?

— ამ ექვსი წლის წინ ავად გავხდი. ერთი თვე საავადმყოფოში გავატარე. ისე გავხდი, რომ გამოვედი, 48 კილოგრამს ვიწონიდი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე სერიოზულად მომეკიდა ხელი ათლეტური ტანვარჯიშისთვის...

მოვარჯიშეებსაც გავესაუბრეთ.

თენგიზ სირაძე — შრომის დაცვის განყოფილების უფროსი, 43 წლისა:

—სტუდენტობის დროს ვვარჯიშობდი. ჯერ კრივში ვცადე ძალა, მერე — ხელბურთში, შემდეგ ცურვამ გამიტაცა, ერთ დღეს კი ყველაფერს თავი დავანებე. ბოლო წლებში ჰაერის უკმარისობა მაწუხებდა, გული მჩხვლეტდა, მოშვებული ვიყავი, წამლებს ჯიბით დავატარებდი. გადავწყვიტე ბორისისთან მივსულიყავი. თუ დამიჯერებთ, ორი კვირის შემდეგ აღარაფერი მაწუხებდა, ხასიათიც გამომიკეთდა და დღეს ჩემთვის ვარჯიში სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა.

იური კოშაძე — გადამღები ტექნიკის საამქროს ოპერატორი, 49 წლისა:

— აქ ექვსი თვის წინ მოვედი. 120 კილოგრამს ვიწონიდი (სიმაღლით 188 სანტიმეტრი ვარ). ამ ხნის განმავლობაში უკვე 22 კილოგრამი დავიკელი. მინდა 90 კილოგრამამდე დავიდე. ბევრი რამ მწვრთნელზეა დამოკიდებული. პირში ქება გამომდის, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ბორის ბერეჟნოი უაღრესად გულისხმიერი და თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე ადამიანია. ალბათ, მისი ეს თვისებები განაპირობებს, რომ აქ მოვარჯიშეები ვმეგობრობთ, მხარში ვუდგავართ ერთმანეთს.

ბორის ბერეჟნოი:

— ჩვენი მიზანი ჯანმრთელობაა და არა რეკორდები. ბუნებაში ყველაფერი ჰარმონიულადაა მოწყობილი. სამწუხაროდ, ბევრმა ჩვენგანმა ადამიანური სხეულის ჰარმონიულ სილამაზეში დისონანსი შეიტანა. არასწორი აღზრდა თუ ბევრი სხვა რამ, არ მინდა ვინმეს გული დავწყვიტო, ხელს გვიშლის, რომ სხეულის ჰარმონიულობა შევინარჩუნოთ. თავის მხრივ, [illegible] ტელევიზორის დანამატად გადაიქცა. სახლიდან გამოსვლა გვეზარება. როგორც ჩანს, ფიზიკური ვარჯიშის პროპაგანდაც ჯერ კიდევ არ დგას სასურველ სიმაღლეზე. მაგრამ მთავარი მიზეზი ალბათ მაინც ისაა, რომ არ გვაქვს სათანადო სპორტული ბაზები, სადაც კაცს საშუალება ექნება მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჯანმრთელობა გაიკაჟოს, სხეულს, რომ იტყვიან, დაკარგული ფორმა დაუბრუნოს, მიუხედავად ამისა, გულხელდაკრეფილი ჯდომა არას გვარგებს. აუცილებელია, სადაც სავარჯიშოდ მინიმალური პირობები მაინც არის, გონივრულად გამოვიყენოთ. მთავარი დაწყებაა. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, თავდაპირველად ოთხი კაცი ვვარჯიშობდით, დღეს კი ბევრნი ვართ. შეიძლება გაცვეთილი ფრაზაა, მაგრამ მაინც მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო — ნუ გადავდებთ ვარჯიშის დაწყებას. ჯანმრთელობის გაკაჟება არც ერთ ასაკში არ არის გვიან.



„იმპულსის“ მორიგ მეცადინეობაზე. ცენტრში — ბორის ბერეჟნოი.
ჯემალ კახრაძის ფოტო.

**ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲮᲠᲐᲫᲔ.**

---

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

**ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ** დედაქალაქ ამსტერდამში დამთავრდა საჭადრაკო მატჩ-ტურნირი 2-2 საბჭოთა და ჰოლანდიელი დიდოსტატის მონაწილეობით. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვისა და მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვის მეტოქეები იყვნენ იან ტიმანი და ჯონ ვან დერ ვილი.

მეტოქეები 4-4-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ 12 შესაძლებლიდან 9 ქულით I ადგილი დაიკავა გარი კასპაროვმა. მეორეზე 6,5 ქულით გავიდა ანატოლი კარპოვი.

## ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲜᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ** ქალაქ ეფორია-ნორდში ჩატარდა ვაჟთა X კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სამი დიდოსტატი და ათი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა, რომელმაც შესანიშნავად აიღო სტარტი და მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა შორის იმყოფებოდა. 9 ტურის შემდეგ მას 6 ქულა ჰქონდა და დარჩენილ 4 პარტიაში მხოლოდ 2 ქულის აღება ჭირდებოდა დიდოსტატის მეორე ბალის შესასრულებლად. X-XII ტურებში ყაიმით დამთავრებული პარტიების შემდეგ მას ბოლო XIII ტურშიც ყაიმი ხელს აძლევდა, მიზნის მისაღწევად (8 ქულა). ბოლო ტურში მისი მეტოქე იყო საერთაშორისო დიდოსტატი ვოლფგანგ უნციკერი. უბილავამ დებიუტშივე ყაიმი შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ უნციკერი არ დაეთანხმა და გაიმარჯვა. საბოლოოდ ქართველმა მოჭადრაკემ 7,5 ქულით I ადგილი დაიკავა, მაგრამ სამწუხაროდ, დიდოსტატის მეორე ბალის შესასრულებლად მხოლოდ ნახევარი ქულა დააკლდა. II-III ადგილები 7-7 ქულით გაიყვეს ევგენი ვასიუკოვმა და ვალენტინ სტოიკამ (რუმინეთი).

## ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ „ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ!“

**ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜᲘ** ინტერვალის შემდეგ ჩატარდა სპორტული ფილმების მორიგი, რიგით მეთერთმეტე საკავშირო კინოფესტივალი. მას ამჯერად აშხაბადი მასპინძლობდა. აქ წარმოდგენილი იყო სამოცამდე ფილმი. სურათებისადმი ინტერესს ისიც ალვივებდა, რომ უახლოეს ხანში სპორტული ფილმების მსოფლიო ფესტივალი უნდა ჩატარდეს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართველ კინემატოგრაფისტთა ოთხი ნამუშევარი. კინოს მოყვარულებმა ნახეს ირაკლი კვირიკაძის მხატვრული ფილმი „მოცურავე“, მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი „ჭიდაობას რა უნდა“, დავით სიხარულიძის მულტფილმი „ტაიმებს შორის“ და ალექსანდრე ქლენტის დოკუმენტური ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ ფესტივალის ჟიურის ერთ-ერთი ჯილდო სწორედ ალექსანდრე ქლენტის სურათმა დაიმსახურა. მას ლაურეატის წოდება მიენიჭა და სპეციალური მედალიც გადაეცა. გარდა ამისა, იგი პერსონალურად მიიწვიეს პალერმოში, სპორტული ფილმების X საერთაშორისო ფესტივალზე. აშხაბადში სტუმრად მყოფმა პალერმოს საერთაშორისო ფესტივალის გენერალურმა დირექტორმა ვიტო მაჯიომ ფილმის რეჟისორს სიცილიის ოლიმპიური კომიტეტის დიდი ვერცხლის მედალიც გადასცა.

— ბატონ მაჯიოს ძალიან მოეწონა ჩვენი ფილმი და სურათის ნახვისთანავე გადმოგვცა მიწვევა პალერმოს ფესტივალზე — გვითხრა ალექსანდრე ქლენტმა — როცა მან ისიც გაიგო, რომ მე ვწერ სცენარს დონ კრისტოფორ დე კასტელი პალერმიტანოს ქმნილებების მიხედვით (ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ), გარკვეული მხარდაჭერაც აღმითქვა. კასტელი ხომ პალერმოელი იყო...

ქართველი კინემატოგრაფისტების ნამუშევართა აღიარება ჩვენთვის უჩვეულო ამბავი არ არის, მაგრამ, ბუნებრივია, ყოველი ახალი, შედარებით მცირემნიშვნელოვანი წარმატებაც კი სიხარულით გვავსებს.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ.**

### ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘ - ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

**ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ.** აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი — „სუპერფინალი-88“. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრებმა იტალიის გუნდი დაამარცხა—11:105, იუგოსლავიამ კი გფრ — 111:77. ფინალში უპირატესობას იუგოსლავიელებმა მიაღწიეს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს აჯობეს ანგარიშით 79:75 (36:38).

**ᲐᲗᲔᲜᲘ.** იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს. კიეველმა ალექსანდრე ხოლოდმა (100 კგ) ორჭიდში 377,5 კგ დააგროვა, იმდენი, რამდენიც პოლონელმა დარიუშ ოსუხამ. მაგრამ საბჭოთა ძალოსანი უფრო მსუბუქი აღმოჩნდა და პირველი ადგილიც მას მიენიჭა.

### ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

● **ᲐᲚᲥᲘᲠᲘ** სეულის ოლიმპიადაზე 34 სპორტსმენს გააგზავნის. ეს განაცხადა ამას წინათ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ სი მოჰამედ ბაგდადიმ. ალჟირის სპორტულ დელეგაციაში შევა 15 ხელბურთელი, 7 მძლეოსანი, 8 მოკრივე და 4 ძიუდოისტი.

● **ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ** გუნდი, რომელიც პერუს ღირსებას დაიცავს სეულში, იქნება ფრენბურთელ ქალთა ნაკრები — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში. ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან აგრეთვე სამხტომელი რიკარდო ვალიენტე და მოცურავე ალექს ალვიზური.

● **ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ** საფროსნო სპორტის ვეტერანმა ჰუბერტ რაუდაშლმა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, მაგრამ „ვარსკვლავის“ კლასში მან თავის თანამემამულეს შაინეკერს აჯობა და სეულის საგზური გაინაღდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წლევანდელი ოლიმპიური თამაშები რაუდაშლისათვის რიგით მერვე იქნება.

● **ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ** ძიუდოისტები ოლიმპიურ სამზადისს ბრიტანეთში, ძიუდოს პოპულარულ ცენტრ კენდალში გაივლიან. კერძოდ, აქ ჩავლენ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მძიმე წონის გიგანტი გუოცინ სიუ და მეორე ასეთივე „გოლიათი“ ჩჟონიუნ ლი. ჩვენ, განაცხადა ჩინეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა, გულდასმით უნდა შევისწავლოთ დასავლეთის ქვეყნების ძიუდოისტთა სტილი. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ მათთან წარმატებით პაექრობას.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 22-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 24 (ხელბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 40 (რიკაობა).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 16 (საცხენოსნო სპორტი), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი), 29 (სასტენდო სროლა), 30 (ძალოსნობა).

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 21-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც 22 მაისს ჩატარდა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 1540228 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (71 ბარათი) მოგება 708 მანეთია, ოთხისთვის (2468) — 28, სამისთვის (37208) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 17001748 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (17 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4099) — 229, სამისთვის (180068) — 8.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

**21-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ**
**(21-22 მაისი)**

**ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 21-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 21-22 მაისს ჩატარდა.

ტირაჟში დაშვებულია 5.092.975 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (8) მოგებამ შეადგინა 9.549 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (306) — 499 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (6.193) — 86 მანეთი.

21-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით.

## ᲖᲕᲔᲠᲔᲕᲐᲛ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲜᲐᲕᲠᲐᲢᲘᲚᲝᲕᲐ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** ჩოგბურთის სპეციალისტებს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად მიიჩნიათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მინსკელი ნატალია ზვერევას გამარჯვება მერვედფინალში. ახალგაზრდა ჩოგბურთელმა მართლაც ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია მსოფლიოს მეორე „ჩოგან“, ამერიკელ მარტინა ნავრატილოვასთან შეხვედრაში. ზვერევამ ეს პრინციპული ბრძოლა ორ პარტიაში მოამთავრა (6:3, 7:6) და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა იქნება.

ზვერევამ, მოსკოველ ნატალია ბიკოვასთან ერთად, მეორე წრის შეხვედრა მოუგო სილვია საბასისა და ნოელ ლოტუმის (ორივე—საფრანგეთი) წყვილს — 6:3, 6:2.

მეოთხედფინალში იასპარეზებს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ანდრეი ჩესნოკოვი, რომელმაც მერვედფინალში არგენტინელ ედუარდო ბენგოჩეას სძლია — 6:1, 4:6, 6:4, 6:0. ახლა ჩესნოკოვის მეტოქე იქნება უიმბლდონის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი, ავსტრალიელი პატ კეში, რომელმაც მანამდე თანამემამულე მარკ ვუდფორდს აჯობა — 4:6, 6:2, 6:1, 6:2.

რედაქტორი
**Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.**

**ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ**

**31 ᲛᲐᲘᲡᲘ**

**ᲠᲔᲒᲑᲘ**

**საბჭოთა კავშირის პირველობა**

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ**

**„ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ“ (თბილისი) — „ᲡᲝᲙᲝᲚᲘ“ (ლვოვი)**

დასაწყისი 18 საათზე.

---

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10766